დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის

ო ქ მ ი №6

31 აგვისტო 2010 წელი ქ.დმანისი

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს ბიუროს 6 წევრი.

1. ბაკურ მგელაძე.
2. ომარ ჭელიძე.
3. ზურაბ აკოფაშვილი.
4. ჰამლეტ ბერუაშვილი.
5. ნოდარ ადუაშვილი.
6. შამილ ალიევი.

სხდომის თავმჯდომარე დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე: **ბაკურ მგელაძე**

დღის წესრიგი:

გიულუ პაშაევას 2010 წლის 6 აგვისტოს განცხადების "ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ" განხილვის გადადება.

მისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს განუმარტა, რომ 2010 წლის 20 აგვისტოს დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო გიულუ პაშაევას 2010 წლის 6 აგვისტოს განცხადებაზე "ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ". ზეპირი მოსმენა დღედ დაინიშნა 2010 წლის 31 აგვისტოს 12 ^{00} საათი.

გიულუ პაშაევას წარმომადგენელმა ადვოკატმა რევაზ რიჟამაზემ ითხოვა ზეპირი მოსმენის გადადება, ვინაიდან სატელეფონო დაუწყების წესით გამოძახებული იყო სასამართლოში როგორც დამცველი სისხლის სამართლის საქმეზე.

გადაწყვიტეს: ზეპირ მოსმენა გაიმართებოდა 2010 წლის 1 სექტემბერს 10^{00} საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ბაკურ მგელაძე**